

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №136/ნ
2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016672) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“:

1. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 3 დღის ვადაში სპეციალური პროგრამის გამოყენებით ასახავს ამ დებულების 32-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ, ხოლო ამ დებულების 32-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 3 დღის ვადაში“;

2. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრი, ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვიდან 5 დღის ვადაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს“;

3. 34-ე მუხლის მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

„13. ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ ტესტირებაზე.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

ქეთევან ნატრიაშვილი

